

პერსპექტიული განვითარების სამსახური

ინფორმაცია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების 2018-2024 წლების გეგმიდან გამომდინარე სამწლიანი 2018-2020 წწ სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის შესახებ

სტუ-ს სტრატეგიული განვითარების (2018-2024 წწ) და სამოქმედო (2018-2020 წწ) გეგმებს საფუძვლად უდევს ოთხი ძირითადი პრიორიტეტული მიმართულება:

- ინსტიტუციური განვითარება;
- ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება;
- სტუდენტური ცხოვრების მხარდამჭერი გარემოს შექმნა;
- საგარეო ურთიერთობათა განვითარება, ინტერნაციონალიზმის ხელშეწყობა.

აღნიშნული მიმართულებებიდან გამომდინარე განსაზღვრული არის მიზნები, ამოცანები და აქტივობები რომლებიც გაწერილია სტუ-ს სამწლიან სამოქმედო გეგმაში, სადაც მითითებული არის განხორციელების ვადები, პასუხისმგებელი სტრუქტურები, ფინანსური რესურსები და შეფასების ინდიკატორები.

სტუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმის მე-VIII თავის შესაბამისად, გეგმის შესრულების მიმდინარეობის ანალიზი წარმოებს შემდეგი მექანიზმების მიხედვით:

- PDSA ციკლი - დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე;
- „ბენჩმარკინგი“ - პროცესი, რომლის საშუალებითაც სტუ პერმანენტულად ახორციელებს საკუთარი მახასიათებლების შედარებას საუნივერსიტეტო სივრცის ლიდერებთან მსოფლიო მასშტაბით და ამის საფუძველზე ახდენს თვითშეფასებას;
- PEST - მექანიზმი წარმოადგენს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ანალიზის მეთოდოლოგიას. ის გამოიყენება ამ სამი ფაქტორის საუნივერსიტეტო საქმიანობის ურთიერთკავშირის შესაფასებლად და განსაზღვრავს მათ გავლენას სტუ-ს გრძელვადიან საქმიანობაზე.

მოცემული მექანიზმების შესაბამისად, პერსპექტიული განვითარების სამსახურში წარმოდგენილ იქნა უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურათა ყოველწლიური ანგარიშები, რომელთა ანალიზი წარმოადგენს 2018 -2020 წლების ანგარიშის საფუძველს და მოცემულ ინფორმაციაში წარმოდგენილია განვითარების პრიორიტეტების მიხედვით:

•ინსტიტუციური განვითარება

-აღსანიშნავია, რომ 2018 წლის 2 ოქტომბერს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს ეწურებოდა ავტორიზაციის ვადა. ამიტომ, აღნიშნული საანგარიშო პერიოდი მიმდინარე სამუშაოებთან ერთად დატვირთული იყო ავტორიზაციის მიღებისათვის აუცილებელი ღონისძიებებით. ბუნებრივია, რომ უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული დანაყოფი აქტიურად იყო ჩართული ამ პროცესში, ავტორიზაციის თვითოეულ სტანდარტზე და მის კომპონენტზე განპირობებულ იქნა პასუხისმგებელი სტრუქტურა, რექტორის 25.12.2017 წლის N249 ბრძანების საფუძველზე ჩამოყალიბდა ავტორიზაციის სტატუსის მაძიებელი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შევიდა სტუ-ს ხელმძღვანელობისა და მენეჯმენტის 15 წარმომადგენელი.

ჯგუფმა მოამზადა თვითშეფასების ანგარიში, რომელიც წარუდგინა განათლების ეროვნულ ცენტრს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 ოქტომბრის სხდომის (ოქმი N19) საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული იქნა „ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე მიღებული რეკომენდაციების შესრულების ერთწლიანი სამუშაო გეგმა ავტორიზაციის სტანდარტებისა და კომპონენტების მიხედვით“. აღნიშნული გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ საკითხი მომზადდა პერსპექტიული განვითარების სამსახურის მიერ და მოსმენილ იქნა სტუ-ს აკადემიური საბჭოს სხდომაზე 2019 წლის 22 მარტს, რის შედეგადაც შეტანილი იქნა ცვლილებები სტუ-ს მისიაში, სტრატეგიული განვითარების 2018-2024 წწ და 2018-2020 წწ სამოქმედო გეგმებში, აგრეთვე სტრატეგიული განვითარების გეგმის მეთოდოლოგიაში.

-შემუშავდა არაკადემიური თანამდებობების კლასიფიცირებისათვის შესაბამისი კითხვარი და სტუ-ს ახალი საკადრო პოლიტიკის პროექტი, შემუშავებული და დამტკიცებულია სამსახურების დებულებების ახალი დაზუსტებული რედაქციები. დამტკიცდა „სსიპ სტუ-ს ფინანსური მსრთვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების მიზნით პასუხისმგებლობის გადანაწილების, დელეგირებისა და ანგარიშვალდებულების წესი“.

-განხორციელდა სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებისა და ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის განახლებული ვარიანტის შემუშავება და დამტკიცება. შემუშავდა სხვადასხვა მარეგულირებელი დოკუმენტებისა და საჭიროებების შემთხვევაში არსებული შიდა სამართლებრივი აქტების ცვლილებების პროექტები, დასრულდა სტუ-ს სასწავლო კურსების საინფორმაციო-სამიეზო ბაზის შექმნა, მისი შევსება სათანადო ინფორმაციით რომლითაც ფაქტობრივად უზრუნველყოფილია ბაზის მუდმივად აქტუალური მდგომარეობა.

-საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელდა მთელი რიგი ინფრასტრუქტურული პროექტები: - შეიქმნა სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და ექსპერიმენტული ლაბორატორიები, გარემონტდა და გაფართოვდა სასწავლო-სამეცნიერო და დამხმარე ფართები, მოხდა ბიბლიოთეკის, კვებისა და ჯანდაცვის ობიექტების რეორგანიზაცია. მთლიანად 2018-2020 წლების განმავლობაში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის სტუ-ს ბიუჯეტიდან დახარჯულ იქნა 7545795 ლ.

-სტუ-ს და მასთან ინტეგრირებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ცენტრების ერთიან კომპლექსად ქცევის საგზაო რუკის შექმნისათვის დამუშავდა შემდეგი საკითხები: „სტუ-ს და მასთან მიერთებული სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და ცენტრებში გენერირებული ცოდნის სტრუქტურული მახასიათებლები“; „საუნივერსიტეტო რეიტინგის იდენტიფიკაციისათვის სტუ-ს მსოფლიო კლასის საუნივერსიტეტო ინსტიტუციად ორგანიზებისათვის“.

-ინგლისელი პარტნიორების დახმარებით სტუ-ს ინოვაციის ცენტრის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მიზნებისათვის მომზადდა „სტუ-ს ინოვაციების ცენტრის განვითარების გრძელვადიანი პროგრამა“.

-საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა 2018-2020 წლებში შეივსო და აღირიცხა 2177 დასახელების 8494 სახელმძღვანელო.

-განხორციელდა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის სილაბუსებთან შესაბამისობის შემოწმება.

-სტუ-ს რეორგანიზაციის მიზნით, 2020 წელს, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, შეიქმნა ჯგუფი, რომელმაც წარადგინა ანგარიში „სტუ-ს სტრუქტურული ერთეულების რეორგანიზაციის მიზნით განსახორციელებული ღონისძიებებისა და სამომავლო გეგმის მიმოხილვა“.

-საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა, 2020 წლის თებერვლიდან პანდემიის პირობებში, უმოკლეს პერიოდში შეძლო სასწავლო პროცესი ელექტრონულ ფორმატში გადაეტანა. შექმნილი სიტუაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო, რასაც ტექნიკურმა უნივერსიტეტმა წარმატებით გაართვა თავი. სწორედ ახალი ხელმძღვანელობის სწორი მენეჯმენტით - სასწავლო პროცესი წარმატებით ჩატარდა. შეიქმნა ელექტრონული სასწავლო პლატფორმა elearning.gtu.ge, სადაც გაერთიანდა ყველა აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი და პროფესორ მასწავლებელი. საუნივერსიტეტო პლატფორმაზე შეუფერხებლად წვდომა სწავლების სამივე საფეხურის ყველა სტუდენტისთვისაა შესაძლებელი.

აღნიშნული პლატფორმის მეშვეობით აიტვირთა და ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდა სასწავლო კურსები, ყოველკვირეული დავალებები, ლიტერატურა და სტუდენტების აქტივობა. Zoom -ის და BBB – ის პლატფორმების მეშვეობით ყოველ კვირეულად ტარდებოდა 16587 საათი ონლაინ მეცადინეობები. გამართულად ჩატარდა საგამოცდო პროცესი. გამოცდები ტარდებოდა ერთდროულად ორ პორტალზე: elearning.gtu.ge-ზე და testing.gtu.ge-ზე.

● ხარისხზე ორიენტირებული სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება

2018-2020 წლებში აღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა. არსებული ბაზისა და სამომხმარებლო ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინაციით ფაკულტეტებზე მიმდინარეობდა უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება. ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილი 125 პროგრამიდან აკრედიტაცია გაიარა 54 პროგრამამ, მათ შორის:

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა - 26
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა - 15
- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა - 13
- აკრედიტაცია შეუჩერდა 5 პროგრამას
- გამოთხოვილ იქნა 2 პროგრამა
- წარმოების პროცესშია 64 პროგრამა

მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა სასწავლო პროგრამების საერთაშორისო პროგრამული აკრედიტაციის დანერგვა-სწავლების მიმართულებით. ABET-ის სასწავლო პროგრამების სტანდარტების დანერგვის მიზნით სან-დიეგოს უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ფარგლებში მომზადების პროცესშია 6 საგანმანათლებლო პროგრამა.

საქართველოს განათლების სისტემის პრიორიტეტებიდან გამომდინარე, სტუ-ში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი პროფესიული სწავლების განვითარების საკითხებს, 2018-2020 წლებში ავტორიზაცია გაიარა 20 საგნობრივმა პროფესიულმა საგანმანათლებლო პროგრამამ და 5 ჩარჩო დოკუმენტაციის საფუძველზე შემუშავებულმა პროფესიულმა (მოდულურმა) საგანმანათლებლო პროგრამამ.

ფაკულტეტების პროფესორ-მასწავლებელთა მიერ გამოცემული იქნა 232 მონიგრაფია, 2297 სტატია, ჩატარებულ იქნა 1552 სამეცნიერო კონფერენცია და სემინარი.

წარმატებული ნაბიჯები გადაიდგა უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალის გაზრდის მიზნით, ადგილობრივ და მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან კოლაბორაციის განვითარების მიმართულებით.

სტუ-სთან შემოერთებული ინსტიტუტებისა და ცენტრების მეცნიერთა მიერ 2018-2020 წლებში შესრულებული არის 121 სამეცნიერო პროექტი, გამოქვეყნებულია 38 მონოგრაფია და 728 სამეცნიერო სტატია, ჩატარებული იქნა 26 ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციები.

სტუ-ს 2018-2020 წლების სამეცნიერო საქმიანობის სრული ანგარიში წარმოდგენილი არის მეცნიერების დეპარტამენტის ვებგვერდზე <https://gtu.ge/Science-Dep/>

●სტუდენტური ცხოვრების მხარდამჭერი გარემოს შექმნა

- ეს მიმართულება ყოველთვის არის უნივერსიტეტის საქმიანობის უპირველესი პრიორიტეტული მიმართულება. აქედან გამომდინარე დიდი მნიშვნელობა ენიჭება თვით სტუდენტთა მონაწილეობას უნივერსიტეტის მართვის პროცესებში, 2018-2020 წლებში მოხდა საფაკულტეტო საბჭოებში სტუდენტთა პირდაპირი წესით არჩევა, რამაც საშუალება მისცა ფაკულტეტის ყველა სტუდენტს მონაწილეობა მიეღო არჩევნებში. დეკანატების, სოციალურ საკითხთა, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტის და სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით ტარდებოდა სტუდენტებთან შეხვედრები მათი უნარების შესწავლის მიზნით. სტუდენტური თვითმმართველობის ძალისხმევით ჩატარებულია სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, შესაბამისად გამოცემულია ნაშრომთა კრებულები. წინა წლებთან შედარებით 2020 წელს გაზრდილია სტუდენტთა აქტივობა საერთაშორისო იმიტირებულ პროცესებში.

აქტიური მხარდამჭერა ჰქონდა ფაკულტეტების თვითმმართველობის მხრიდან სპორტისა და თვითშემოქმედებითი ჯგუფების ფუნქციონირების საკითხებს, მაღალ ორგანიზებულ დონეზე ჩატარდა სტუდენტური დღეები, სადაც სპორტის, კულტურის, საგანმანათლებლო და ინტელექტუალური მიმართულებით ჩაბმული იყო სტუ-ს სტუდენტთა დიდი ნაწილი. ასევე მათ მიერ მოძიებული სხვადასხვა დონორების დახმარებით ორგანიზებულად ჩატარდა სტუდენტთა ზაფხულისა და ზამთრის სკოლები.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა შეზღუდული შესაძლებლობების სტუდენტებთან ურთიერთობის საკითხებს. უნივერსიტეტში შექმნილი არის ინკლუზიური განათლების გუნდი, უნივერსიტეტში ჩარიცხული სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროების მქონე სტუდენტების სასწავლო პროცესში ჩართვისა და მათზე მორგებული სასწავლო პროცესის განხორციელების მიზნით, გამოყენებული არის სხვადასვა მეთოდები რომლებიც ფიქსირდება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში შეზღუდული შესაძლებლობის პირთათვის. შესაბამისობაში მოვიდა ინფრასტრუქტურა I, VI, IX სასწავლო კორპუსებში და „ანალიზხელსაწყოს“ ბაზაზე შექმნილ ტექნიკური გადამზადების ცენტრში.

●საგარეო ურთიერთობათა განვითარება, ინტერნაციონალიზმის ხელშეწყობა.

-სტუ-ს ევროპის საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის პროცესში მიღწეულ შედეგებს ბევრად განაპირობებს ის, თუ რამდენად სწორად არის გააზრებული უნივერსიტეტში ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო ცნობადობის გაზრდის პროცესი. ამ მიმართულებით საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტანდარტების სამსახურისა და სხვა სტრუქტურული დანაყოფების მიერ 2018-2020 წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა, მოხდა საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელის გაფართოება და არსებული ურთიერთობების გამყარება.

-უნივერსიტეტის საერთაშორისო ცნობადობის გაზრდის, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროექტებში ჩართულობის მხარდასაჭერად უზრუნველყოფილი იყო ინფორმაციის მომზადება და ვებგვერდზე განთავსება.

-მნიშვნელოვანი სამუშაო არის ჩატარებული საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შემუშავება-განხორციელებისათვის უნივერსიტეტისათვის გამოყოფილი ERASMUS+KA1 სტუდენტების ზრდის, ასევე ERASMUS+-ის ფორმატში პროფესორ-მასწავლებელთა ჩაბმულობის კუთხით.

-მიზანმიმართული მუშაობა მიმდინარეობდა საერთაშორისო რანჟირების პრესტიჟულ სისტემებში უნივერსიტეტის სარეიტინგო მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით. განხორციელდა შესაბამისი რეიტინგების მთვლელი პრესტიჟული მასერტიფიცირებელი ორგანოს მოძიება და სააპელაციო დოკუმენტაციის მომზადება.

სტრუქტურული ერთეულებიდან წარმოდგენილი ინფორმაციის შესწავლისა და ანალიზის შედეგად, სამოქმედო გეგმაში გამოიკვეთა რამოდენიმე აქტივობა, რომლის განხორციელება დაგეგმილი იყო 2018-2020 წლებში და ფინანსური უკმარისობის და სხვადასხვა მიზეზების გამო სრულად ვერ განხორციელდა. ეს აქტივობებია:

-ამორტიზირებული მართვადი და არამართვადი კომპუტატორების გამოცვლა (ნაწილობრივ განხორციელდა - გამოიცვალა 25 ქსელური კომპუტატორი);

-სტუ-ს II, III და IV კორპუსში 3 დონის ცენტრალური მოწყობილობების დამატება. აღნიშნული ამოცანა ნაწილობრივ განხორციელდა, სტუ-ს მე-2 კორპუსში დამონტაჟდა მე-3 დონის კომპუტატორი, გაყვანილ იქნა ახალი ოპტიკურ-ბიჭკოვანი არხები, დარჩა 2 ქსელური მოწყობლობის შეძენა, რათა დასრულდეს ამ ამოცანის გადაწყვეტა;

-მე-6 კორპუსის ქსელის ბირთვსა და მე-2 კორპუსს შორის უსადენო საჰაერო მაგისტრალური არხის მოწყობა 1 გბ/წმ სიჩქარის ანტენით. აღნიშნული სამუშაო არ განხორციელდა იმ მიზეზის გამო, რომ არ მოხდა შესაბამისი აპარატურულ-ტექნიკური საშუალებების შესყიდვა;

-სინთეზური საწვავის მიღების ახალი ტექნოლოგიების დანერგვა (პასუხისმგებელი - მიკროპლასტიკური და საზომი სისტემების დეპარტამენტი, კომერციალიზაციის დეპარტამენტი);

-ხელოვნური აღმასებისა და ზემდაღალი კომპოზიციური მასალებისგან დამზადებული ინსტრუმენტების წარმოება. შექმნილი არის მხოლოდ საპილოტე ნიმუშები. (პასუხისმგებელი - სტუ-ს აღმასისა და კომპოზიციური მასალების სამეცნიერო ცენტრი, კომერციალიზაციის დეპარტამენტი).

-სტუ-სა და ბელორუსული ფირმა „МТЗ-Холдинг“-ს შორის გაფორმებული მემორანდუმის შესაბამისად ტრაქტორების და მისაბმელების წარმოების შექმნა. (პასუხისმგებელი - პერსპექტიული განვითარების სამსახური, მეცნიერების დეპარტამენტი) სტუ-სგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

-სტუ-ს და ბელორუსული კომპანიის „SIS ბიზნეს სერვისის“ ლიფტების საამწყობო ერთობლივი წარმოების შექმნა. (პასუხისმგებელი - მეცნიერების დეპარტამენტი, პერსპექტიული განვითარების სამსახური) სტუ-სგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო - ლიფტების საამწყობო ერთობლივმა საწარმომ ვერ გაიმარჯვა ტენდერში.

-ფინანსური მართვის მოდელის ცვლილება, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვასა და განაწილებას, ეფექტიანობას და რაციონალიზაციას. (პასუხისმგებელი - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, საგეგმო-საფინანსო დეპარტამენტი).

პერსპექტიული განვითარების სამსახური სტუ-ს სამოქმედო გეგმის (2018-2020 წწ) მიხედვით დაგეგმილი აქტივობების შესრულების შესახებ, სტრუქტურული ერთეულებიდან წარმოდგენილი ინფორმაციის შესწავლისა და ანალიზის შედეგად აკადემიურ საბჭოს წარმოუდგენს შემდეგ დასკვნებს და რეკომენდაციებს:

დასკვნები:

I.PDSA - დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე - ციკლის შესაბამისად, სტრატეგიული განვითარების გეგმის მიმართულებების, მიზნების და ამოცანებიდან გამომდინარე დაგეგმილი არის აქტივობები. ანგარისში მოცემულია აქტივობების

განსახორციელებლად ჩატარებული სამუშაოები, შეფასების ინდიკატორებში ასახული არის დოკუმენტაციის ან ვებგვერდის დასახელება რომელიც ადასტურებს შესრულებულ სამუშაოთა რეალობას. მოცემული ციკლის შესაბამისად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა იმის შესახებ, რომ 2018-2020 წლებში დაგეგმილი აქტივობების უმრავლესობა შესრულებულია და მიღებულია კონკრეტული შედეგები.

II. "ბენჩმარკინგი"-ის პროცესის შესაბამისად, საერთაშორისო რანჟირების პრესტიჟული სისტემების ანალიზის და პარტნიორი უნივერსიტეტებიდან მიღებულ მასალებთან სტუ-ს მახასიათებლების შედარების მიხედვით მომზადებული საკითხები დამუშავებულია და ასახული არის სამოქმედო გეგმის შესაბამისი აქტივობების „შეფასების ინდიკატორებში“.

III. PEST-ანალიზი, გარე ფაქტორები და გამოწვევები, განსაკუთრებით კი პოლიტიკური ნება იმის შესახებ, რომ ქვეყნის წინსვლის ძირითადი სტრატეგიული პრიორიტეტი არის განათლების სისტემის განვითარება (მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში თითქმის მთელი 2020 წლის განმავლობაში არის რთული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა) იძლევა იმის გარანტიას, რომ სტუ-ს მიერ გაცხადებული მისია იქნება შესრულებული.

რეკომენდაციები:

I. სტუ-ს რექტორის პროფ. დ. გურგენიძის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო პროგრამით გათვალისწინებული მიზნების და გეგმების შესაბამისად საჭიროდ მიგვაჩნია ცვლილებები შევიდეს სტუ-ს სტრატეგიული განვითარების 2018-2024 წწ და 2021-2023 წწ სამოქმედო გეგმებში;

II. უნივერსიტეტის ორგანიზაციული შესაძლებლობების ეფექტურად გამოყენების მიზნით მიგვაჩნია, რომ სტუ-ში უნდა განხორციელდეს ყველა სტრუქტურული დანაყოფის სამუშაოთა აღწერილობა და შემუშავებული უნდა იქნეს თითოეული სტრუქტურული ერთეულისათვის ოპტიმალური საშტატო განრიგი;

III. სტუ-ს შემოსავლების გაზრდისა და ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია:

- დაგეგმილი მისაღები კონტინგენტის მაქსიმალურად უზრუნველსაყოფად, როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში, მასმედიის საშუალებებში განთავსებული უნდა იქნეს რეკლამა, განსაკუთრებით იმ ფუნდამენტალური სპეციალობების პოპულარიზაციისათვის რომელზეც წლების განმავლობაში „დგას“ ტექნიკური უნივერსიტეტი;

- აუცილებელია განახლდეს „ღია კარის“ დღეების პრაქტიკა ფაკულტეტების მიხედვით;

- დაიხვეწოს ფინანსური მექანიზმი პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე, ინოვაციური სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელების შედეგად მიღებული, ქვეყნისთვის საჭირო პროდუქტის რეალიზაციისათვის ხელის შესაწყობად;

- ფაკულტეტების მენეჯმენტმა მეტი ყურადღება დაუთმოს და ორგანიზება გაუწიოს გამოყენებითი ღირებულებების მქონე სამეცნიერო კვლევების, ბიზნეს გეგმებისა და წინადადებების რეალიზაციის მიმართულებას;

- უნდა განხორციელდეს სტუ-ს შენობა-ნაგებობების ფართობების და ტერიტორიის ზუსტი აღწერა და მათი მიზნობრივი გამოყენება უნივერსიტეტის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტის საქმეში.

IV. სტუ-სთან შემოერთებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების და ცენტრების უნივერსიტეტთან სრული ინტეგრაციის მიზნით, სტუ-ს მომავალ სამწლიან სამოქმედო გეგმაში ასახული უნდა იქნეს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების და ცენტრების მიზნები, ამოცანები და აქტივობები.

ინფორმაციას დანართის სახით თან ახლავს ცხრილი, სადაც მოცემულია ანალიზი, სტრატეგიული გეგმის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად დაგეგმილი აქტივობების შესრულების შესახებ.

სტუ-ს პერსპექტიული განვითარების
სამსახურის უფროსი

თ.ბაციკაძე

პერსპექტიული განვითარების სამსახურის
გრძელვადიანი, სტრატეგიული და
სამოქმედო გეგმის შემუშავების და
შესრულების სისტემური ანალიზის
განყოფილების უფროსი

ლ.კობახიძე